საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის

მინისტრის ბრძანება №03/234

2013 წლის 24 დეკემბერი

ქ. თბილისი

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-კულტურული ფასეულობის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 53-ე ე მუხლებისადა „კულტურული მემკვიდრეობის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. მიენიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი:

ა) „თეატრალური უნივერსიტეტის ყოველწლიურ, სტუდენტად კურთხევის ტრადიციის – გრიმის ცხების ცერემონიალს“;

ბ) ქართული პერიოდიკის უწყვეტ ტრადიციის – ლიტერატურულ ჟურნალ „ცისკარს“;

გ) „ლაღიძის წყლების ტექნოლოგიასა და კულტურას“.

2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნე ბართვების
დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების პირველ მუხლში მითითებ ული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე ასახვა.

3. ეთხოვოს კულტურული მეკვიდრეობის დაცვის საბჭოს წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა ბრძა ნების პირ-
ველ მუხლში მითითებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის კატეგორ იის განსაზღვრის თაობაზე.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. №7).

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **მარინე მიზანდარი**